

დამნაშავეის რესოციალიზაცია

გელა პერტია

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.“

გელა პერტია

05.07.2021

აბსტრაქტი

ამ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია დამნაშავის რესოციალიზაცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში გაწერილი სასჯელის ერთ-ერთ მიზანი, რომლის მნიშვნელობაზე ქართული ნორმატიული აქტების დონეზე ყურადღებას ამახვილებს, არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსი, პატიმრობის კოდექსი, საქართველოს კანონი-არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების და პრობაციის შესახებ, იუსტიციის მინისტრის ბრძანებები. დამნაშავის რესოციალიზაციას გააჩნია საერთო უნივერსალური მნიშვნელობა, მასზე რეკომენდაციას გასცეს გაეროს მინიმალური საპატიმრო სტანდარტები ე.წ მანდელას წესები, ევროპის საბჭოს მინისტრთა სკომიტეტის რეკომენდაციები, სხვა საერთაშორისო დოკუმენტები. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთან მიმართებით სხვა საერთაშორისო აქტები.

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს ის, რომ საზოგადოებას წარმოდგენა გაუჩნდეს დამნაშავის რესოციალიზაციის მნიშვნელობაზე კრიმინალის შემცირების და დანაშაულის რეციდივის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სწორედ ამიტომ მიმოვიხილე სასჯელის სამივე მიზანი, მათი ურთიერთმიმართების საკითხი დამნაშავის რესოციალიზაციასთან. რისთვისაც დამჭირდა ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის სიღრმისეული ანალიზი. ნაშრომში განვიხილე რესოციალიზაციის მნიშვნელობა საპატიმრო თუ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესში.

ჩემი ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ქართულ პრაქტიკაში არსებული პრობლემები, აჩვენოს, იმ რესურსების ნაკლებობა და ხელშემშლელი ფაქტორები, რომელიც უარყოფითად მოქმედებს დამნაშავის რესოციალიზაციის პროცესზე.

იმისათვის, რომ პასუხი გამეცა დამნაშავის რესოციალიზაციის მნიშვნელობაზე, კრიმინალის შემცირების, მსჯავრდებულის პიროვნული განვითარების და საზოგადოებაში მისი რეინტეგრაციის შესაძლებლობაზე, მიმოვიხილე სხვადასხვა თეორეტიკოსთა ნაშრომები, სასამართლო გადაწყვეტილებები, საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა.

კვლევამ აჩვენა არსებული ხარვეზები, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში კანონმდებლობის აღსრულების მხრივ. შესაბამისად ნაშრომი მკითხველს შეუქმნის წარმოდგენას, იმ მიმართულებებზე, რომლებიც არსებობს დამნაშავის რესოციალიზაციის კუთხით, როგორია ამ მიმართულებით კანონმდებლის მიდგომა, არსებული დანაწესის პრაქტიკაში განხორციელების მიზნით. მაქსიმალურად შევეცადე შემეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ყოფილ მსჯავრდებულებთან მიმართებით. გადავწყვიტე შევებრძოლებოდი საზოგადოების დიდ ნაწილში დამკვიდრებულ მოსაზრებას და მკითხველს ვაჩვენო მსჯავრდებულის რეალური

რესოციალიზაციის შესაძლებლობა, რესოციალიზია-რეაბილიტაციის პროცესის სწორად დაგეგმის და აღსრულების შემთხვევაში.

სამიეზო სიტყვები: რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, სოციალიზაცია, პრევენცია, სუბკილტურა, რესოციალიზაციის საერთაშორისო სტანდარტი.

Abstract

The following master thesis discusses the re-socialization of the offender. One of the purposes of the sentence described in Article 39 of the criminal code of Georgia, The importance of which is emphasized at the level of Georgian normative acts, the juvenile justice code, imprisonment code, law of Georgia on the procedure for enforcing non-custodial sentences and probation, orders of the minister of justice. Also, the re-socialization of the offender has a universal meaning, it is recommended by the UN minimum detention standards, the so-called Mandela rules, the recommendations of the Committee of Ministers of the Council of Europe, and other international documents. Other international instruments relating to a juvenile in conflict with the law.

The aim of my study is to make the public aware of the importance of re-socializing the offender in reducing crime and combating crime recidivism. That's why I reviewed all three goals of the sentence, the issue of their relationship to the re-socialization of the offender. For which I needed an in-depth analysis of local and international legislation. In the paper, I talked about the importance of re-socialization in the process of imprisonment or non-imprisonment.

The aim of my paper is to present the problems in the Georgian practice, to show the lack of resources and impediments that negatively affect the process of re-socialization of the offender.

In order to answer the importance of re-socialization of the offender, the reduction of crime, the possibility of personal development of the offender and their reintegration into society, I have reviewed the works of various theorists, court decisions, international and domestic legislation.

The study revealed gaps in both the legislative level and in terms of law enforcement in practice. Therefore, the following study will provide the reader with an idea of the directions that exist in terms of re-socialization of the offender, what is the approach of the legislator in this direction, in order to implement the existing regulation in practice. I tried my best to change the attitude of the society towards the former offenders. I decided to fight against the opinion established in a

large part of the society and show the reader the possibility of real re-socialization of the offender, if the re-socialization-rehabilitation process is properly planned.